ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წ ყ ა ლ ტ უ ბ ო
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 36 19

03/02/2020

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61–ე მუხლის მე–3 ნაწილის „გ" ქვეპუნქტისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე–20 მუხლის შესაბამისად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2020 წლის 4 თებერვალს, 14:00 საათზე მოწვეული იქნეს საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების" დაფუძნების, წესდების მიღების, საშტატო ნუსხისა და სახელფასო განაკვეთების დამტკიცების შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

/მომხს. რომეო ნიჟარაძე/

2) „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები"ს შექმნის, შემადგენლობის, პოლიტიკური პლატფორმისა და წესდების დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 13 დეკემბრის №36 163 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

/მომხს. რომეო ნიჟარაძე/

3) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 4 თებერვლის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების თაობაზე;

/მომხს. პაატა ახალაძე/

2. საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს:

ა) ბრძანების გამოქვეყნება;
ბ) საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომის მოწვევა;
გ) საკრებულოს ბიუროს წევრთა რეგისტრაცია 13:30 საათიდან.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს აპარატის უფროსს კობა გურეშიძეს.

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

პაატა ახალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მ.შ